

განმარტებითი ბარათი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონპროექტის
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულების პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია განკარგულების შესახებ

ა.ა) განკარგულების მიღების მიზეზი

განკარგულების მიღების მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ დღეს მოქმედი კანონი, ითვალისწინებს ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის ფორმებს, რომელთა შორის აღნაგობა არ არის გათვალისწინებული. პრაქტიკაში კი ხშირია შემთხვევები, როდესაც საჭირო ხდება ქონების აღნაგობის ფორმით სარგებლობაში გაცემა. აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილი განკარგულების პროექტით ხდება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის მოწონება, რომლითაც აღმოიფხვრება ზემოაღნიშნული პრობლემა. განკარგულების პროექტის მიღების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 23-ე მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის უფლება;

ა.ბ) განკარგულების არსი

განკარგულების პროექტით გათვალისწინებულია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის მოწონება და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივით მიმართვა;

ბ) განკარგულების ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) განკარგულების მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

განკარგულების მიღება არ იწვევს საბიუჯეტო ხარჯების გამოყოფას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან;

ბბ) განკარგულების გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

განკარგულება არ ახდენს გავლენას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

გ) განკარგულების მიმართება საქართველოს კონსტიტუციასა და მოქმედ კანონმდებლობასთან

განკარგულება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას;

დ) განკარგულების მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

და) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს განკარგულების შემუშავებაში

აღნიშნული განკარგულების მომზადებაში მონაწილეობა მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა;

დბ) განკარგულების შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება განკარგულების მიმართ

შენიშვნები არ გააჩნიათ;

დგ) განკარგულების ავტორი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;

დდ) განკარგულების ინიციატორი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;